

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შ პ ს „სხალთა 2020“ ს/კ 248056320

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქ. ბათუმი

2023 წელი

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

სარჩევი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები
 - 1. ზოგადი ინფორმაცია
 - 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
 - 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები მსს ფასს-ზე გადასვლით
 - 4. სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

1 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ერთეული ლარი)

ფორმა N1- საქმიანობის შედეგები

	2022 წელი	2021 წელი
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	3102130	2,886,340
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	83.83	
გაყიდვების თვითღირებულება	-2641228	(2,434,011)
საერთო მოგება	460,986	452,329
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-156168.46	(126,323)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-7899.73	(8,509)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-63325.79	(62,138)
იჯარის ხარჯი	-67065.43	(50,605)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-50297.9	(31,026)
სულ საოპერაციო ხარჯები	(344,757)	(278,601)
საოპერაციო მოგება	116,229	173,728
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	175787.44	57,477
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-379.83	5,302
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	291,636	236,507

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	291,636	236,507
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	664,778	433,771
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-50500	(5,500)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	905,914	664,778

2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ერთეული ლარი)

ფორმა N2- ფინანსური მდგომარეობა

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 1 იანვრის მდგომარეო ბით
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1117	7,230	1,401
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42119	45,052	13,133
წინასწარ გაწეული ხარჯები	4241	3,836	3,295
მარაგები	1031570	960,491	826,156
- შზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

სხვა მოკლევადიანი აქტივები		197	198
სულ მოკლევადიანი აქტივები	1079045	1,016,806	844,183
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1532	1,532	1,532
მიწა	165580		
ძირითადი საშუალებები	642989	469,364	477,872
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	809957	470,896	479,404
სულ აქტივები	1889148	1,487,702	1,323,587
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	52737	104,293	160,387
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	32203	17,473	9,790
გადასახდელი ხელფასები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	393011	515,383	507,635
სხვა ვალდებულებები	1300	3,120	7,685
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	479107	640,269	685,497
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	503983.00	182,655	204,319
მიღებული გრანტები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	503983.00	182,655	204,319
სულ ვალდებულებები	983090.00	822,924	889,816
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50,500	56,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	905914	614,278	377,771
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	905,912	664,778	433,771
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,889,148	1,487,702	1,323,587

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

სულ მოკლევადიანი აქტივები	1079045	1,016,806	844,183
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	479107	640,269	685,497

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წელი

შინაარსი	კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
1/1/2021 წაშთი	56000	0	377771	433771
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-5500			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება				
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			236507	
გაცემული დივიდენდი				
1/1/2022 წაშთი	50500		614278	664778
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-50500			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება				
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			291636	
გაცემული დივიდენდი				
31/12/2022 წაშთი	0		905914	905914

4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სხალთა 2020“ ს/კ 248056320 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში. სხალთა 2020“-ის მარეგისტრირებული ორგანოა ბათუმის საგადასახადო ინსპექცია. რეგისტრაციის თარიღია 28/12/2006 . საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ხულოს რაიონი, სოფ. სხალთა . ფაქტიური მისამართებია : ქ. ბათუმი პუშკინის ქ. # 1 (იჯარა/მაღაზია) ქ. ბათუმი ერისთავის ქ. , N 38. (იჯარა/საწყობი) ქ. ბათუმი ერისთავის ქ. # 36 (მაღაზია/საწყობი/საკუთრება). ძირითადი საქმიანობის ადგილებია :ქ. ბათუმი პუშკინის ქ. # 1, ქ. ბათუმი ერისთავის ქ. #36. ზაზა მახარაძე (პ/ნ 61009001004) შპს „სხალთა 2020 „-ის წილის 100% მფლობელია, რომელიც ასევე დირექტორი და დამფუძნებელია.

საწარმო ფულად სახსრებს გამოიმუშავებს საქართველოში. ფულადი სახსრების ხარჯვა ხდება როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ (საქონლის შესაძენად). ქვეყნის შიგნით ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ხოლო უცხოელ მომწოდებლებთან უცხოურ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად. (ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცალო/საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით და კერამიკული ფილებით.

4.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. (2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის). ეს ანგარიშგება კომპანიისთვის არის მესამე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1-ლი იანვარი.

. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც ნიშნავს, რომ მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობა არ აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არც არის იძულებული, რომ ასე მოიქცეს, რადგან საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს ,შესაბამისად კომპანია ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობის მიერ ფასდება საწარმოს მდგომარეობა, ფულადი ნაკადები , მომგებიანობა ,აქტივებისა და ვალდებულებების , ასევე შემოსავლებისა და ხარჯების გავლენა ფინანსურ აღრიცხვაში. გაუთვალისწინებელი ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმავე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს (2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით). .

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. გამართული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
2. გონივრულ მსჯელობებზე და შეფასებებზე;
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას (მსს ფასს-ის) გამოყენებაზე;

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

4. კომპანიის შიდა კონტროლის შემუშავებაზე , დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- 5..ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ზუსტად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს
6. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- 7.თაღლითობის და დარღვევების თავიდან აცილებაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2022 წლის 27 სექტემბერს

4.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები მსს ფასს სტანდარტზე გადასვლით

შპს „სხალთა 2020-მა ‘ მე-3-ე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმი დააკმაყიფილა 2019 დასრულებულ წელს .საწარმომ შეღავათით ისარგებლა და 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება არ წარადგინა , რადგან არ იყო გასული ორი უწყვეტი პერიოდი და ნებაყოფილობით შეეძლო გადაეგზავნა მე-4-ე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგება.

შპს სხალთა 2020 -ის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის . 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მესამე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს.

საწარმო პერიოდულად არ ახდენდა ძირითადი საშუალებების ვადების გადახედვას .მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის შემდეგ საწარმოში ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების მომსახურეობის ვადების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვთის გადაანგარიშება.

მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ კეთდებოდა. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის შემდეგ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება მარაგების თვითღირებულების გადახედვა. მარაგების გაუფასურება არ გამოკვეთილა .

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებდა მსს ფასს-ს სტანდარტზე გადასვლამდე, არსებითად არ განსხვავდება იმისგან , რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ს სტანდარტზე გადასვლის შემდეგ.

, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითადი საბალანსო ანგარიშები შეიძლება ჩაიშალოს და დაემატოს ქვეანგარიშები საჭიროებისამებრ. .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

1) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია. (მოკლევადიანი, გრძელვადიანი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანი აქტივებია: მარაგები , სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი. ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულებები , რომლებიც საწარმოს ჩვეულებრივი საბრუნავი კაპიტალის ნაწილია და მონაწილეობს საწარმოს ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში მოკლევადიანია. ასეთია : სავაჭრო ვალდებულებები, დაქირავებულ პირებზე დარიცხვები, საბანკო ოვერდრაფტები, სესხების მიმდინარე ნაწილი, მოგების გადასახადი, დივიდენდი და სხვა.

გრძელვადიანია ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეში და არ მონაწილეობს საწარმოს ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში.

2) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, საქვეანგარიშოდ გაცემულ და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

1110	ნაღდი ფული ლარებში	309.98
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	727.78
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	79.33

3) სავაჭრო მოთხოვნები

გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გადახედვა, რათა დადგინდეს რამდენად არის მოთხოვნები ამოღებადი.. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

ანგარიში	დასახელება	01.01.2023 დებეტი
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31001.04
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5.24
1480	მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	11112.60

4) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად .

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს ,სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში),

სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში. სასაქონლო მატერიალური მარაგის აღრიცხვის მეთოდია -უწყვეტი-

დაუმთავრებელ მშენებლობაზე გახარჯული საქონელი გადაიტანება მასალებში და დაემატება მშენებლობის თვითღირებულებას.

ანგარიში	დასახელება	01.01.2023 დებეტი
1610	საქონელი	1028669.66

5) სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ,აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში'

ანგარიში	დასახელება	01.01.2023 დებეტი
1621	სამშენებლო ინვენტარი (სპეც ტანსაცმელი)	723.73
1690	საწარმოსთვის მცირეფასიანი (საწვავ-საცხები)	2174.98

6) ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს .

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი ,ტელ.აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები ,დისკები ,ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე ტექნოლოგიური საშუალება ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე

სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად, საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე. მარაგებში აღრიცხული საქონელი , რომლებიც გამოყენებული იყო მიმდინარე მშენებლობის დროს (დაუმთავრებელი მშენებლობა) გადატანილი იქნა მასალებში და შევიდა დაუმთავრებელი მშენებლობის თვითღირებულებაში.

მცირე სამშენებლო ინვენტარი, რომელიც გამოყენებულია მშენებლობისათვის (დაუმთავრებელი მშენებლობა) ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

7) ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს : ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდომარეობაში მოყვანის ხაჯრებს.

საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)

უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით

ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას.

- სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში
-

საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან

მიწა	==
შენობა-ნაგებობები	20 წელი
დაუმთავრებელ მშენებლობა	==
ელექტრომოწყობილობა;	5-7 წელი
კომპიუტერები.	5-10 წელი
ავტოსატრიატორები (2 ცალი)	10-15 წელი
სხვა;	5-10 წელი
ავიჯი ოფისისათვის;	5-10 წელი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა-ნაგებობები	მოწყობილობები და აღჭურვილობა	მთლიანად
თვითღირებულება			
2022 წლის 1 იანვარი	442913.59	62065.17	504978.76
შემოსვლა	346333.82	627.12	346960.94
გასვლა	0	0	0

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2022 წლის 31 დეკემბერი	789247.41	62692.29	851939.7
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
2022 წლის 1 იანვარი ცვეთა	7501.41	26581.58	34082.99
წლიური ცვეთა	2500.48	5399.25	7899.73
გაუფასურება	0	0	0
2022 წლის 31 დეკემბერი დაგროვილი ცვეთა	10001.89	31980.83	41982.72
2022 წლის 31 დეკემბრის საბალანსო ღირებულება	779245.52	30711.46	809956.98

8) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით,

9) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

10) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ტესტი აქტივების შესაძლო გაუფასურებაზე. ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან.

იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე,

11) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

ანგარიში	დასახელება	01.01.2023 კრედიტი თანხა ვალუტაში/კურსი	01.01.2023 კრედიტი
3110/1	ანგარიშსწორებანი ეროვნულ ვალუტაში		12608.84
3110/2	ანგარიშსწორებანი უცხოურ ვალუტაში	14851.13\$	40127.79

12) ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანგარიში	დასახელება	01.01.2023 კრედიტი
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	393010.60
4140	გრძელვადიანი სესხები	503982.74

13) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

14) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სხვა სავაჭრო ვალდებულებებისგან.

15) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირებთან დაკავშირებული ყველა სახის გასამრჯერო აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ვალდებულება და ხარჯი. (გარდა იმ დანახარჯებისა, რომლებიც ჩართულია მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივების თვითღირებულებაში).

16) შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით

ამონაგები წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, : საქონლის გაყიდვიდან, მომსახურების გაწევიდან, საწარმო ამონაგებს აღიარებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მიღებული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის და ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურეობის გაწევის ამონაგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს .

ანგარიში	დასახელება	დებიტი	კრედიტი
01.01.2022			-
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1484339.24
1411	საცალო ვაჭრობა (პუშკინის ქ. ¹ 1)		721638.40
1412	საცალო ვაჭრობა (ერისთავის ქ. ¹ 36)		1454535.49
1610	საქონელი	2641228.20	
3330	გადასახდელი დღგ	558383.37	
5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	460901.56	
Оборот		3660513.13	3660513.13
01.01.2023			-

17) ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. აღირიცხება ფუნქციური

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

დანიშნულებით. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

იჯარით აღებული ფართის ყველა კომუნალურ გადასახადს იხდის კომპანია და საანგარიშო წლის ბოლოს აღიარებს ხარჯად .

ანგარიშ ი	დასახელება	ბრუნვა კრედიტი
7345	მიწოდების ხარჯი	1525.00
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	156168.46
7415	სოციალური დანარიცხები საერთო-ადმინისტრ. შრ. ანაზღ.	4899.02
7420	საიჯარო ქირა	67065.43
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	5502.06
7455	საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	7899.73
7470	საბანკო ხარჯები	4874.75
7471	საბანკო ხარჯი USD	10084.60
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	23412.47

18) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის.

ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. კომპანია იყენებს ჩვეულებრივ იჯარას.

19) კომპანიის გადასახადები:

მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი. საპენსიო გადასახადი.

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

.საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით).

საწარმოსთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

განაწილებული მოგება.,

ნებისმიერი სხვა ხარჯი , რომელიც საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობისთვის არ არის გაწეული, უსასყიდლოდ საქონლის/მომსახურეობის მიწოდება.

, საქონლის დანაკლისი , წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობაზე მეტია.

დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადი დაიანგარიშება განაწილებული დივიდენდის ოდენობიდან სტანდარტული განაკვეთის გამოყენებით.

კომპანია შემოსავლებს, ხარჯებს და აქტივებს აღიარებს დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

კომპანია ყველა გადასახადს იხდის კანონით გათვალისწინებული განაკვეთებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ კვლავ მიმდინარეობს ერისთავის 36 -ში დაუმთავრებელ მშენებლობაზე მუშაობა. აშენდა ყველა გათვალისწინებული სართული, მოპირკეთდა გარე ფასადი, ჩაისვა ფანჯრები. მიმდინარეობს შიდა სამუშაოები.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე მოხდა ახალი სესხის დამატება , გადაიხურა ნაწილობრივად ძველი სესხი. დარჩენილ ძველ სესხზე ორჯერ შეიცვალა საპროცენტო განაკვეთი. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი // ზ. მახარაძე-----

შპს „სხალთა 2020“-ს ფინანსური ანგარიშგება. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.